№ 258 დეკემბერი 3, კვირა 1889 დეკემბერი 3, კვირა № 258

# ივერია

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასსა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებშისასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

პავლე და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძენი სტოეკები, ოლგა ნიკოლოოზის ასული დოლინსკისა და ნინო ნიკოლოოზის ასული გაბაშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა დედისა თვისისა ნატალია სოლომონის ასულის სტოევისასა. ცხედარს გაასვენებენ საკუთარის სახლიდამ, ნიკოლოოზის ქუჩა, № 60, 5 დეკემბერს ალექსანდრე-ნეველის ეკკლესიაში, ხოლო იქიდამ წაასვენებენ სოფელ ახატანს, დუშეთის მაზრაში. პანაშვიდი გადახდილ იქმნება ყოველ-დღე, დილის 12 საათზედ და სალამოობით 6 საათზედ. (1—2)

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 5 დეკემბერს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

## არსენა

დრამა 3 მოქმედ. ა. ყაზბეგისა

II

პირველი მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ:

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, სათვაროვისა, ავალოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

კვირას, 3 დეკემბერს.

«ტფილისის სობრანიის» დარბაზში ქართული ხორის ამხანაგობა, ბ-ნ ი. ი. რატილის ლოტბარობით, გაჰმართავს

## კონცერტს

სამის განყოფილებით.

მონაწილეობას მიიღებენ: ქალი ე. ი. რატილისა, ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნი ი. ივ. რატილი და ხორო. ხოროს აქვს დამზადებული 15 სულ ახალი ქართული და ევროპიული ხმა. ი. ივ. რატილი იმღერებს: „ორთავ თვალის სინათლევ“, ქ. ე. ი. რატილისა: „თვალის ჩინო, გულისა“.

ბილეთების ყიდვა შეიძლება «სობრანიის» შვეიცართან.

ტფილისი, 2 დეკემბერი

ჯერ ისევ მარშან, 18 ივნისს, კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების კრებას მოხსენდა ერთი პატარა წერილი კავკასიის ანბანების შესახებ. ამ წერილში ნაჩვენებია ჯერ ნიშნობლივი თვისებანი აქაურის ანბანებისა: ქართულისა, სომხურისა და არაბულისა, და მერე კრიტიკულად არის განხილული ის ანბანები, რომელიც ახლად შესდგა და რომელსაც საფუძვლად დაედო რუსული ანბანი.

უნდა ვსთქვათ, რომ ჯერ ისევ ოც-და-ათიან წლებში აკადემიკოსმა შოგრენმა შეადგინა ოსთათვის, რომელთაც მაშინ მწერლობა არა ჰქონდათ, სამაგალითო ანბანი, რუსულის ანბანის საფუძველით. სამოციანს წლებში ეს ანბანი უსლარმა უფრო გაამარტივა და გახადა გამოსადეგი მთიელ ტომთათვის: ლეკთა, ჩაჩანთა და სხვათათვის. ამ შოგრენისა და უსლარის ანბანებით დაიბეჭდა საკმაოდ მრავალი წიგნიც.

მაგრამ აი გავიდა ხანი და ოთხმოციანს წლებში დაუწყეს ცვლა სრულიად უმიზეზოდ იმ ზემოხსენებულს ანბანებს. ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ. მილლერმა შეადგინა საკუთარი ანბანი ოსთათვის და უარ-ჰყო შოგრენის მიერ შედგენილი. ეს ანბანი უწესოდ არის შედგენილი და აჭრელებულია მრავალ სხვა-და-სხვა ნიშანით, რომელიც ზემოდამ უზის ასოებს. მერე მილლერის მაგალითს მიჰბაძა ბ-ნმა ზავადსკიმ და უსლარის ნაწერების ბეჭდვის დროს უარ ჰყო იმისი ანბანი და თავისი ჩაურთო იმ ნაწერებში. ამავე დროს მესამე მოანბანეც გამოჩნდა, ვინმე გრენი, და უარჰყო მეგრელების ანბანი, ის ანბანი, რომელიც ათასი წელიწადია ხმარებაში აქვთ მეგრელებს, და იმის მაგიერ თავისი საკუთარი ანბანი შეადგინა. ამ ახალ მოდის ანბანში რამდენსამე ხმას, რომელსაც შეამჩნევთ მეგრელების ლაპარაკში, არ მოეპოვებოდა თავისი შესაფერი ნიშანი. დანარჩენ ხმათათვის ისეთი ნიშნები შეეთხზა გრენს, რომ ისინი უფრო უხერხულია, ვიდრე თვით ბ-ნის ზავადსკისა.

ზემოხსენებულის წერილის ავტორმა უმთავრესი ყურადღება მიაქცია უფრო იმ გარემოებას, რომ ბ-ნს ზავადსკის შეეცვალა და გადაესხვაფერებინა უსლარის ანბანი, რომლის შედგენაშიაც ოდესმე მონაწილეობა მიიღო თვით კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებამაც. კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების საერთო კრებამ გამოაცხადა მაშინ, რომ, ჩვენის აზრით, უთუოდ გვლავ უნდა დაცულ იქმნას ანბანი უსლარისაო, მაგრამ, რაკი ამ საქმეში ჩვენზე გამოცდილები და მცოდნენი სხვანი არიანო და ეს საგანი-კი ფრიად საყურადღებოა და ძნელი გადასაწყვეტი, ამიტომ არ იქმნებოდა ურიგო, შევკითხებოდით უფრო მცოდნე, სამეცნიერო ავტორიტეტით შემოსილს დაწესებულებასაო.

საზოგადოების გამგეობამაც ამის გამო მიჰმართა სამეცნიერო აკადემიას და იმას დაეკითხა რჩევას: თქვენ რას იტყვით, როგორ ჰფიქრობთ და რას გვირჩევთო. სამეცნიერო აკადემიამ არ იტვირთა ამ საგნის განსჯა და განხილვა: ჩვენ არა გვყავს მცოდნენი კავკასიის ენებისანი და გირჩევთ მიჰმართოთ აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტს პეტერბურგის უნივერსიტეტისასაო.

საზოგადოების გამგეობაც ასე მოიქცა და ამ რამდენისამე თთვის წინად მოუვიდა კიდეც პასუხი ზემოხსენებულის სამეცნიერო დაწესებულებისა. ეს პასუხი უკვე წაკითხულ იქმნა კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების კრებაზე წარსულს თთვეში, 17 ნოემბერს. ჩვენის ფიქრით, ეს პასუხი, რომელშიაც გამოსთქვა თავისი აზრი ყველა დღევანდელ ახალ ანბანების შესახებ ფრიად სარწმუნო, სამეცნიერო დაწესებულებამ, დაბეჯითებით მცოდნემ აღმოსავლეთის ფილოლოგიისამ, დიდის ყურადღების ღირსია და დიდი მნიშვნელობაცა აქვს ჩვენთვის. ამიტომ იმ პასუხს სრულად და სავსებით დავბეჭდავთ ჩვენის გაზეთის შემდეგს ნომერში.

გ—გ

## ფელეტონი

### წმ. გიორგი და წმ. ილია

(იმერეთში დარჩენილი აპოკრიფული არაკი)

I

ახალ გაყრილი ორი ძმა
ერთმანეთს ეჯიბრებიან:
თუ რა დააკლონ ძმობაში,
კოჭებში შესჩერებიან!

—

მათ აღარ უნდათ საერთო
აღარც ცა, აღარც ქვეყანა!
რძლებმა ასტეხეს ეს შფოთი...
ეშმაკმაააყაყანა!..

—

ვერც მკიან, ვეღარც თოხნიან...
ვერც მუშაობენ ვერასა;
ღარიბდებიან თანდათან,
სწყევლიან ბედის წერასა.

—

ორივე ამას ამბობენ:
„ჩემი ძმა მიშლის ხელსაო,
თვარა ამ ცულით და თოხით
გავიტან ტყე და ველსაო!“

—

ცოლებიც ასე ურჩევენ:
„ტკბილი დღე გაეითენიათო:
ბარემ მოჰკალი შენი ძმა,
მოერჩეთ და მოეისვენოთო!“

—

მაგრამ კაცები ამბობენ:
„ჩუ! ნუ მოჰყვებით ბოდვასო!
აგრე ადვილად ვერ ვიზამთ
კაენის პირველ ცოდვასო.

—

„სჯობს ისევ ღმერთი ვილოცოთ!
სალმრთოთ შევსწირავთ ერთ ცხვარსო,
და რჩევას ვკითხავთ ორივე
ამ ჩვენის სოფლის მოძღვარსო“.

—

სთქვეს და ხუცესთან წავიდნენ,
ცხვარიც თან მიჰყავთ ბღავილით;
ცოლები სახლში დასტოვეს
გულმკვდრები ენის ქავილით.

—

მოძღვარმა უთხრა: „შვილებო,
ნუ დაინანებთ ცხვარსაო!
და შევევედრეთ ერთგულად
ქრისტე-ღმერთს—მაცხოვარსაო!

—

„რომ ერთმანეთი გიყვარდეთ,
სჯობს გაიწმინდოთ გულიო,
და აიყვანოთ პატრონად
წმინდა... ან მოციქულიო.“

—

გამოეთხოვნენ მადლობით.
დაჰგმეს მაცდური, წყეული,
და წამოვიდნენ სახლისკენ
ხელი-ხელს გადახვეული.

—

უმცროსი წმინდა გიორგის
მიენდო... მის მლოცველია;
უფროსმა მფარველ-პატრონად
ირჩია წმინდა ელია.

—

ნათლი-მამებად გაუხდნენ,
მოანათლინეს შვილები,
და მერე ძმურად სცხოვრობდნენ
ორივე კმაყოფილები.

II

ერთხელ რძლებმა ჩამოაგდეს
ნათლიებზედ საუბარი:
„გიორგი სჯობს, თუ ელია,
დიდი ღრუბელთ წინამძღვარი?“

—

ერთმა სთქვა, რომ „ჩემს ნათლიას
ხელში შუბი უპყრიაო;
ვისაც-კი ჰკრავს, არ მოარჩენს,
ბევრი სისხლი უღვრიაო!..

—

„ვეშაპები რომ დაჰფრენდნენ
და ადენდნენ პირით ალსო,
ისინი სულ მან გასწყვიტა...
ვენაცვალე იმის ძალსო!“

—

მეორემ სთქვა: „ჩემი ქვეყნად
არ ჩამოდის... სისხლს არ ჰღვრისო,
მაგრამ ერთი თუ დასძახა,
დედამიწა შეიძვრისო!

—

„ვენაცვალე!.. ეტლით დადის...
ძვირად ადგამს დაბლა ფეხსო;
და, თუ უნდა, მაღლიდგანაც
ძირს დაახლის ჰექით მეხსო!“

—

ამას ეს სთქვა... იმან ის სთქვა...
აჰყვნენ... აიშალნენ რძლები
და ერთმანეთს შეუპოვრად
დაულანძღეს ნათლიები.

—

იმ ხაღამოს უფროს რძალსა
შეეყარა წინ ნათლია
და შენიშნა ნათლი-დედას,
რომ ცოტათი გულს აკლია.

—

უთხრა: „ჩემო ნათლი-დედავ!
ვინ გაწყინა და რა გჭირსო?
მითხარი და მე გიჩვენებ
მის თამაშას და სეირსო!“

—

ნათლი-დედა აწუწუნდა:
„რად მომასწარ მე ამ დღესო,
რომ მე შენი კარგი თავი
გამილანძღეს?!. გამკიცხესო!..

—

„ჩემმა რძალმა ასე მითხრა,
რომ ის შენი ნათლიაო
დიდი რამე ნუ გგონია,
ბევრიც არ შეუძლიაო!

—

„ჩემ ნათლია გიორგისთან
რა სახსენებელიაო,
ან მადლით, ან სასწაულით,
შენი ვიღაც ელიაო?!.“

—

ელიამ სთქვა: „ნათლი-დედავ,
ნუ იხეთქავ მაგით გულსო!
იმას მისის სიბრიყვისთვის
მე ვუჩვენებ სასწაულსო:

—

„ერთი ყანა პური რომ აქვს,
დავაცხუნებ ზედ ხვალ მზესო
და სულ ისე დაუხრუკავ,
არ შევარჩენ აღარც ბზესო!..

—

„მოვანატრებ საგაისოდ
იმ უბედურს ლუკმა პურსო!..
მაგრამ შენ-კი ნურვის ეტყვი,
ნურც ქმარს, ნურც სხვა შინაურსო!“

—

გამობრუნდა სახლისაკენ
ნათლი-დედა მხიარული;
ვეღარ იტევს საიდუმლოს,
გაუსკდება აგერ გული!

—

დაბრუნებულს შეეყარა
ერთი მგზავრი, ვიღაც უცხო;
მიესალმა და შორიდგან
საუბარი მას დაუწყო.

—

სხვათა შორის უთხრა: „დედავ,
თუ რომ ღმერთმა ინებაო,
როგორც ვატყობ, ხვალიოდ
დიდი წვიმა იქნებაო!“

—

ქალმა უთხრა: «რასა ბძანებ,
ამ ღრუბელს დღეს გადაჰყრისო!..
ხვალ მისთანა მზე იქნება,
რომ ქვეყანა ოფლს დაღვრისო!

—

„როგორც გატყობთ, თქვენ არ გჯერათ
მაგრამ მეც სხვებრ შევიტყეო...
საიდუმლო საქმე არის...
ხომ არ გნებავთ, მოგიყვეო?“

—

და მოუყვა დაწვრილებით,
რაც იცოდა დაფარული!..
ქმარს ვერ ეტყვის და უცხოსთან
მოიფხანა მაინც გული!

III

საღამოს წმინდა გიორგი
უმცროსის ძმისას მივიდა
და მისის რჩევით ის ყანა
ძმამ შის უფროსს ძმას მიჰყიდა.

—

მზემ მეორე დღეს ის ყანა
მართლა დასწვა და დასდაგა
და მწუხარება უფროსს ძმას
გულს ისარივით ატაკა.

—

ატირდა და ცოლს შესჩივლა:
„ვეჰ! შენს მტერს ამისთანაო:

# ახალი ამბავი

*** ამ დღეებში გასინჯა ცენზურამ ბ-ნ აკაკის ორი ახალი პიესა და ნება დართო წარმოსადგენად. ერთი პიესა ხუთ-მოქმედებიანია, ტფილისის ცხოვრებიდამ დაწერილი, და ეწოდება „გაიძვერები“, ხოლო მეორე ისტორიული დრამაა, 5 მოქმედებად და 6 სურათად, დაწერილი ლექსად და ეწოდება სახელად „პატარა კახი“.

*** ამ ხანებში მოწონებულ იქმნა კავკასიის სწავლა - განათლების მზრუნველის მიერ „კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და სავარჯიშო მოქმედებათა წარმოების მასალებისა“, შედგენილი ბ-ნ ან. ნატროშვილის მიერ.

*** გუშინ - წინ, საღამოს 7 საათზე, დარიის მონასტრის ეზოში გაუქურდავთ სახლი მღვდელ-მონაზონის კალისტრატესი. წაუღიათ 150 მან. ფულად, ორი ხალიჩა 120 მან. ღირებული და ორიოდე სხვა წვრილმანი ნივთიც. ქურდს დაუტოვებია ხელ-უხლებელი ჩემოდანები, საკვაიაჟი და ბევრი სხვა ფასიანი ნივთი. ეჭვი აღებულ იქმნა ვიღაც ზოსიმე ბათიაშვილზე, რომელიც დიაკვნობას სწავლობდა თურმე მონასტერში და ემსახურებოდა კიდეც მღვდელ-მონაზონს კალისტრატეს. ბათიაშვილი გორის მაზრიდამ არის, სოფელ დირბიდამ, და უკვე შეპყრობილია პოლიციის მიერ.

*** ამ მოკლე ხანში იქნება კრება კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისა. როგორც შევიტყეთ, კრებაზედ სხვათა შორის წაიკითხავს ბ-ნი ტყეშელაშვილი თავისს რეფერატს: „О вліяніи климата и географическихъ условій на архитектуру“.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ ნს ტყეშელაშვილსავე, რომელმაც წელს გაათავა კურსი მოსკოვის უნივერსიტეტში საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტზე და ახლა იურიდიულის ფაკულტეტის მესამე კურსზედ შევიდა, დაუწერია ვრცელი გამოკვლევა რუსულად: „О грузинскомъ брачномъ правѣ.“

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ტფილისის ხელოსანთა თავის არჩევანები არ იქნება წელს და მეორისისათვისაც იგივე ნაუმენკო დარჩება ამ თანამდებობაზეო.

*** ცხენის რკინის გზამ „უსახელო საზოგადოებისამ“ უკანასკნელს კვირებში ძალიან მოიწყინა. აქამომდე მიხეილის ქუჩაზე მაინც ღამის თორმეტ საათამდე გაცხარებული იყო ვაგონების სიარული, კავკასიის რკინის გზის მატარებელს ყოველთვის უცდიდა ვაგონები და უფრო ამის გამო არა სწყვეტავდნენ ლიანდაგზე მოძრაობას შუაღამემდე. ეხლა-კი მეთერთმეტე საათზე ისპობა მოძრაობა „უსახელო საზოგადოების“ ვაგონებისა ყოველ ლიანდაგზე. მიზეზს ამ შეუფერებელის ამბისას ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ყორღანოვის ვაგონები სრულიად აკმაყოფილებენ რკინის-გზით ჩამოსულ ხალხსაო, მაგრამ ძნელი ის არის, რომ ტფილისელები ამდენის ხნის განმავლობაში შუაღამემდე დადიოდნენ ქუჩებში ვაგონებით და კიდეც შეეჩვივნენ ამ სიკეთეს. ამიტომ კარგს იზამდა ქალაქის თვით-მართველობა, რომ „უსახელო საზოგადოებისათვის“ დაევალებინა და ისევ ადრინდელ წესზე ეტარებინა ვაგონები უმთავრესს ქუჩებზედ მაინც.

*** გუშინ-წინ ფორკატის საოპერეტო დასმა კასსირის ბ-ნ მირიმანოვის საბენეფისოდ წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი კომიკური ოპერა ზუპესი: „Донна Жуанита“. თეატრში ხალხი საკმაოდ დაესწრო და თითქმის კარგა საკმაოდაც, თუ დანარჩენ დღეების შემოსავალს შევუფარდეთ. მობენეფისეს არტისტებმა თავისის მხრივ ოქროს ძეწკვი მიართვეს. დღეს იქვე დანიშნულია იგივ „Донна Жуанита“, ხოლო ხვალ, ორშაბათს, არტისტის მეიერსონის ბენეფისი უნდა იყოს და წარმოადგენენ ზუპესავე სამ-მოქმედებიანს ოპერას „Фатиница“-ს.

*** საგარეჯო: ამ ერთის თთვის წინად საგარეჯომ ჩაავდო და აკურთხა საძირკველი თავის ორ-კლასიანის სასწავლებლისა. შენობა დირექციის მიერ გამოგზავნილ გეგმაზედ შენდება და ოთხასი თუმანი უჯდება ხალხს. სასიამოვნო ის არის, რომ სკოლის ადგილი მეტად მოხერხებული ადგილია და თითქმის თვალია მთელის სოფლისა. სკოლას წინ ექნება მშვენიერი საბალე ადგილი. ამ სასწავლებელს აქვს ზვარიც, მაგრამ სიშორისა გამო მოსწავლენი საბაღოსნო და საბოსტნო სწავლას ბეჯითად ვერ მისდევენ. ეხლა-კი ამ ორსავე ხალხისთვის მეტად სასარგებლო საქმეს შეგირდები სკოლის კარებზედვე ისწავლიან. ამ სასწავლებელში ჭიის მოყვანასაც ასწავლიან, და თუმცა ადვილი არ იყო საამისო ძველს შენობაში, მაინც წრევანდელ სამეურნეო გამოფენაზედ აქაური აბრეშუმის წარმოება ვერცხლის დიდის მენდლით დააჯილდოვეს. ახალ სკოლასთან-კი ამ საქმეს ცალკე შენობის აგებას უპირებენ.

*** გაზ. „Гражданинъ“-ი ამბობს, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გამართოს ბაქოში შუათანა სატექნიკო, საქიმიო და სამეხანიკო სასწავლებელი, თუ ქალაქი იკისრებს სამის წლის განმავლობაში თვით იქირაოს სახლი და მერე კიდეც ააშენებს შესაფერს სადგომსაო. აგრეთვე ხარჯის ცოტაოდენი ნაწილიც უნდა იკისროსო.

*** ტფილისის გუბერნატორს მოუვიდა ცნობაო, ამბობს ერთი აქაური გაზეთი: რომ ბორჩალოსა და სიღნაღის მაზრაში დიდ-ძალი კვერცხი დასდო კალიამ ამ შემოდგომაზე და გაზაფხულზე უთუოდ მრავლად გაჩნდება ეს საშინელი მტერი ჭირნახულისაო. ამას გარდა კალიას დაუდვია დიდ-ძალი კვერცხი სართიჭალის საბოქაულოშიო.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ბახვში დაჰკბინა ცოფიანმა ტურამ გლეხი არხელაძე, რომელიც დღეს ტფილისშია და რომელსაც ცოფს უცრიან პასტერისებურის წესით ტფილისის საბაქტერიო სადგურშიო. ავადმყოფი კარგად არის და იმედი აქვთ, რომ სრულიად მორჩებაო.

◆◆

## ნაკვესი

მეფე ერეკლე და იმისი აქლემი.

მეფე ერეკლეს ერთი აქლემი ჰყავდა და ამ აქლემს დაჰქონდა მთელი იმისი არტილლერია—ორი ზარბაზანი. ერთხელ, როდესაც მეფემ ერევანი აიღო, ერეკლე გამხიარულდა და თავის ჯარის კაცებს უზომოდ უწყალობა: ვის ოქრო, ვის ფარჩა, ვის ხმალ-იარაღი, ვის კეთილშობილება, და შემდეგ დიდი ლხინი გამართა. საღამოზედ მეფის წინაშე ერთი აზნაურიშვილი წარსდგა.

— ბატონო, თქვენი წყალობა აურაცხელია და უზომო, მაგრამ ერთი ღირსეული და დამსახურებული სულიერი დაგრჩათ დაუჯილდოებელი.

— ვინ, თუ გიყვარვარ?

— აქლემი, შენი ჭირიმე.

— ოხ, მართლა რომ! აბა მოუტანეთ საუკეთესო საჭმელები, შეუკერეთ ქალაბანი, ზურგზედ გადასახური, და სხ. და სხ.

ყველაფერი შეუკერეს, მაგრამ ჯილდო მაინც არ იყო საკმაო. ქალაქში რომ დაბრუნდა, მეფემ ჰკითხა დედოფალს:

— დედოფალო, ჭკვიანი ქალი ხარ, აბა ერთი ჯილდო მოიგონე აქლემისათვის.

— ძლიერ ადვილია, ბატონო, ფირმანი შეაბით კისერზე: საცა უნდა მივიდეს და რაც უნდა სჭამოს, ხმა არავინ გასცეს, თუ გასცეს-და, თავი მოეჭრას, და შემდეგ თავისუფლება მიეცით აქლემსაო.

მეფეს რჩევა მოეწონა, ფირმანი შააბეს და აქლემი განათავისუფლეს. მას აქეთ აქლემი დადიოდა ბაღებში, ჩაივლიდა შუა-ბაზარში მეხილეებთან, მიადგებოდა თახჩებს და სჭამდა, რაც რამ მოხვდებოდა. კრინტის ამოღებას ვინ გაუბედავდა, ხელს ვინ ახლებდა, ფირმანი თვალ-წინა ჰქონდათ.

ერთმა მეხილემ იფიქრა: მოდი ერთი პატარა ქვევრებს გავაკეთებ, როცა აქლემი მოვა, ვითომ ბუზებს ვუგერებ, დავაყურდარუნებ, აქლემს ქვევრისა შეეშინდება და ხილს არ შემიჭამსო. თქმა იყო და ასრულება, მაგრამ აქლემმა ყურებიც არ გაიბერტყა. ეს შეინიშნა ერთმა მეზობელმა და უთხრა:

— არა, შე ოხერო, შენა, 12 წლიწადია ორ-ორ ზარბაზანს ისროდნენ მაგის ყურებთან და იმან ვერ შააშინა და შენ გინდა ქვევრით შააშინოო.

ლელო

◆◆

---

აკი წუხელი ვიყიდე
ძმისაგან მე ის ყანაო!“

—

ცოლს ეუცხოვა!.. წამოხტა,
გავარდა კარში მტირალი,
თავის შავ-ბედის მგმობელი
და სულელს ქმარზე გამწყრალი.

—

წინ შეჰხვდა ისევ ნათლია
და უთხრა: „ნათლი-დედაო,
ვინ გაწყენია, მითხარი,
და ვინ რა გაგიბედაო?“

—

ქალმა უამბო, რაც სჭირდა,
ცრემლები ჰღვარა უბეში...
მაგრამ ნათლიამ ისევე
უბრძანა დიდი ნუგეში:

—

„ხვალ ისეთს წვიმას მოვიყვან,
რომ გავაახლებ ყანასო!
და შენი რძალი სიხარბით
ყელში გაიყრის დანასო!“

—

მადლობა უთხრა ნათლიას,
შინ მორბის, მოუხარია;
რაც რომ შეიტყო, იმღერის...
ხმა-მაღლა მოუბარია!!.

—

წინ შეჰხვდა დაბრუნებული
ისევ ის, გუშინ რომ ნახა,
მაგრამ არ გასცა ქალმა ხმა,
კაცადაც აღარ დასახა!

—

თავისთვის მიიმღეროდა,
იმით სურვილებს იქრობდა,
და სხვაც თუ გაიგონებდა,
იმას-კი აღარ ჰფიქრობდა!..

—

მობრძანდა წმინდა გიორგი
მაშინვე უმცროს ძმასთანა
და უთხრა, გამოეყიდა
ძმისაგან ისევ ის ყანა!..

—

ისიც წავიდა, ძმას უთხრა:
„ძმაო, ნუ გტკივა გულიო!
მე ჩემი ყანა მომეცი,
წაიღე შენი ფულიო!“

—

ძმას გაეხარდა, სათავი
მისცა და ისე მოშორდა;
რას იფიქრებდა საწყალი,
თუ მეორედაც მოღორდა!

—

გათენდა დილა, დაიწყო
ლამაზი წვიმა შხაპუნა;
აბიბინა ის ყანა,
ისევე გამოაბრუნა.

—

მაშინ შეჰხედა ცოლმა ქმარს
და უთხრა: „ცრემლებს ნუ ღვრიო!
ვერ ჰხედავ, ჩვენმა სიმართლემ
გამოგვიბრუნა პურიო?!“

—

ქმარმა მიუგო: „რას ამბობ,
ქალო, შენ გენაცვალეო?
წუხელი მიველ ჩემ ძმასთან
და ისევ შევეშალეო!“

—

ქალი ავარდა... დავარდა...
სახე გაუხდა ნაცრის ფრად!...
თავ-გადაგლეჯილს ნათლია
გაუხდა ისევ საძებრად.

—

მესამედ შეხვდა ნათლია
და უთხრა: «ნათლი-დედაო!
ნეტავ რა ღმერთი გიწყრება
შენ ასე ზედი-ზედაო?

—

„ნუ თუ ვერც ეხლა გაიძღე
ხარბი გული და თვალიო?!
ახლა ხომ მაინც ყელს იჭრის
შენი უმცროსი რძალიო?“

—

ატირდა ქალი და უთხრა:
„ეგრე უთხარი ჩემს ქმარსო!..
დავგლეჯ ამ ჩემის კბილებით...
ცხვირიდგან ვადენ მას ძმარსო!

—

„მისულა ძმასთან წუხელის,
ისევ შეშლია ყანასო!
მოდი და ჰკუა უკითხე
იმ გლახას, სალახანასო!..“

—

ელიამ ბრძანა: „ნუ ამბობ
ქმარზე უკადრისს სიტყვასო;
მაგ საქმეს გამოვაბრუნებ:
მოვიყვან ისეთს სეტყვასო,

—

„რომ იმათ ყანას ერთ-პირად
ამოუვარდეს ძირიო,
და შენს მაზლს ერთად შენს რძალთან
კარზე მიადგეს ჭირიო!

—

„მაგრამ იცოდე: ეს არის
უკანასკნელი ღონეო,
და არავისთან არ წაგცდეს,
რაც ახლა გაიგონეო!“

—

სთქვა დედაკაცმა: „არ ვიტყვი,
მტერს აღარ გავაცინებო!
რომ აღარ წამცდეს, ეხლავე
დავწვები, დავიძინებო!“

—

სთქვა და წავიდა. რომ გავლო
რამოდენიმე მანძილი,
მიიდა ხის-ქვეშ წამოწვა,
მართლა მოუნდა მას ძილი.

—

რომ დაეძინა, მაშინვე
დაიწყო ბოდვა ხმა-მაღლა
და, რაც ელიამ უბრძანა,
გაიმეორა ხელ-ახლა.

—

თავს წამოადგა მძინარსა,
წინ რომ ხვდებოდა, ის მგზავრი;
ყური დაუგდო და მიხვდა,
რაც გულში ჰქონდა ქალს ჯავრი.

—

ის თურმე წმინდა გიორგი
იყო, სამგზავროდ ჩაცმული,
და ნათლიასთან წავიდა
ნათლითა გაბრწყინებული.

—

ურჩია: „ისევ ის ყანა
უნდა გადასცე ძმასაო!
და შენთვის ჩუმად იყავი,
ნურავის გასცემ ხმასაო“.

—

ძმა უფროს ძმასთან მივიდა
და უთხრა: „რასა სწუხარო?
ის ყანა ისევ შენ გქონდეს,
ჩემზედ გულ-ნაკლედ ნუ ხარო!“

—

ძმა დაეთანხმა, სათავიც
დაუდვა სიხარულითა
და დაიძინა იმ ღამეს
დამშვიდებულის გულითა.

—

გათენდა დილა. ცამ სეტყვით
მთლად ამოაგდო ის ყანა!..
ცოლმა მოჰკიდა ქმარს ხელი
და გარეთ გამოიყვანა.

—

უთხრა: „ხომ ჰხედავ ამ სეტყვას?
საარაკოა განაო?
არც ახლა ამოვარდება
ჩვენის მოქიშპის ყანაო?!“

—

ატირდა ქმარი და უთხრა:
„ღმერთი გამიწყრა კიდეო;
ჩემი ძმისაგან ის ყანა
ისევე შევისყიდეო!“

—

მაშინ ატირდნენ ორივე...
არ გაუვიდათ ვედრება!..
და თვის ნათლია ელიას
დაუწყეს ცრემლით ყვედრება.

—

როცა მივიდა ელია
და დახვდნენ ატირებული,
აღარ იცოდა, რა ექნა,
გაბრუნდა გაკვირვებული!

—

სთქვა: „იმ კაცს სწყალობს ვიღაცა
და ის აფარებს სწორედ ხელს!..
მაგრამ ჩემს ფარულს განზრახვებს
ვინ ტყობილობს და ვინ ამხელს?“

—

მაშინ წინ შეხვდა გიორგი
და უთხრა: „ჩემო ილია!
საქმეს ის უკეთ წაიყვანს,
ვინც დედაკაცთან ფრთხილია!

—

„რადგან წასული საქმეა,
გამოგიტყდები ამასო,
რომ ვერის დავაჩაგვრინებ
მე იმ ჩემს ნათლი-მამასო!“

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაბა და სოფელი

(მიწერილი ამბები)

ლეჩხუმი, 21 ნოემბერი. დასრულდა თუ არა სოფლის ძველ მოხელეთა გამო საუბარი ბატონმა მაზრის უფროსმა და რა გადუხადა მათ მადლობა სამსახურისათვის, მიჰყო ხელი ახლად არჩეულ მოხელეთა მხილებას: პირველად მიულოცა ყველა იმათგანს ახალი თანამდებობა და გამოსთქვა გულითადი სურვილი შესახებ მისა, რომ სინიდისიერად და წესიერად შეგესრულებინოთ ყოველივე თქვენი მოვალეობადა დაგემსახურებინოთ მხნე და პატიოსანის მოღვაწეობით ისეთი მადლობა მთავრობის წარმომადგენელთა, და თანაგრძნობა საზოგადოებისა, როგორიც დაიმსახურეს თქვენმა წინა-მოადგილეებმაო. მცირე და სუბუქი არ გეგონოთ თქვენი მოვალეობა და თანამდებობაო,— უბრძანა ახალ მოხელეებს: თქვენი თანამდებობა მეტად მძიმე და რთულია, რომლის გამოც გმართებთ დიდი მეცადინეობა და გამჭრიახობა, რომ შეცდომა არა მოგივიდეთ რა და არ ჩავარდეთ კანონის წინაშე პასუხის-გებაში. რომ თქვენი მოვალეობა სუბუქი არა მგონია ამისათვის უფრო დაევსწარი ყველა თქვენგანის არჩევნებს და წინდაწინ აგიხსენით და გაცოდინეთ თქვენის თანამდებობის მნიშვნელობა. დიდი შრომა და მეცადინეობა მოგელით და გმართებთ კიდეც, რომ სასწორი მართლ-მსაჯულებისა არ გაგიმრუდდეთ და არ დაიმძიმოთ სინიდისი. თითონ მეც ვეცდები მუდამ ყურადღებით მოვექცე თითოეულის თქვენგანის მოქმედებას და ვინც თავის საქმეს მუყაითად, ბეჯითად და სინიდისიერად არ მოეკიდება, სასჯელს ვერ აიცილებს თავიდგან. აი სხვათა შორის რა არის თქვენი მოვალეობა და რა უნდა გააკეთოთ თქვენს საზოგადოებაში: უნდა შთააგონოთ თითოეულს, რომ კვირა-უქმე დღეებში არ დააკლდნენ წირვა-ლოცვასა და ღვთის ვედრებას, რომ მტკიცედ ასრულებდნენ ყოველსავე წესს ეკკლესიისას, რადგან ამაზედ არის დამოკიდებული თითოეულის ჩვენგანის როგორც ზნეობრივი ამაღლება, ისე სხვა მხრივი წარმატება და კეთილდღეობა. შთააგონებდეთ შვილებს მშობლების მორჩილებასა და პატივისცემას. ეცადეთ ცოლ-ქმართ შორის ჰსუფევდეს მეგობრობა და აღარ მოხდეს ის სამწუხარო და სჯულის წინააღმდეგი საქმე, რომ ხშირად უბრალო მიზეზით ცოლ ქმარნი ერთმანეთს შორდებიან, ცოლი სხვას მიჰყვება და ქმარს სხვა მოჰყავს და ამ ნაირად ჰლალატობენ ზნეობასაცა და სარწმუნოებასაც. მკაცრად აღუკრძალავდეთ ყოველს ძალადობასა და თვით-მნებელობით მოქმედებას. მოწინააღმდეგეთა მიაგებდეთ ღირსეულს სასჯელს. განსაკუთრებული მღვიძარე ყურადღება უნდა იქონიოთ თქვენ თქვენს საზოგადოებაში ცუდ და ბოროტ კაცად მიჩნეულების შესახებ. უნდა გაიგოთ ყოველივე მათი ურიგო მოქმედება და ეცადოთ შეზღუდოთ იმათი ბოროტი განზრახვა. არავინ გარეშე კაცი, მეტადრე საეჭოდ მიჩნეული, უბილეთოდ არ შემოგეპაროთ თქვენს საზოგადოებაში და ცუდი არა ჩაიდინოს-რა. ასეთს არა საიდო კაცებს ნახვისათანავე უნდა წარმომადგენდეთ პირდაპირ. უნდა იქონიოთ ყურადღება, რომ არავინ გადავარდნილი და მთავრობისაგან დევნილი არ შემოვიდეს თქვენს საზოგადოებაში, და თუ როდესმე შემოაბიჯოს ფეხი, მაშინვე მთელი ხალხი გარს შემოარტყით უთუოდ, დაიჭირეთ და მარჯვე ყარაულების თანგამოყოლებით წარმომიდგინეთ მე. აგრეთვე იქონიეთ ჯეროვანი ყურადღება და ზრუნვა, რომ თქვენს საზოგადოებაში არ მოხდეს ქურდობა, ცუდ კაცობა, ჩხუბი და უკანონო მოქმედებანი, და თუ რაიმე ამისთანა მოხდეს, უთუოდ დამნაშავე აღმოაჩინეთ და ქურდიცა და ნაქურდალიც წარუდგინეთ აქაურს ბოქაულს განკარგულების მოსახდენად. არავინ თქვენგანმა არ გაჰბედოს იმის თქმა, რომ ქურდობა მოხდა ჩემს საზოგადოებაში, მაგრამ ქურდი და მოპარული ვერ აღმოვაჩინეო. დარწმუნებული ვარ გამოცდილებით, რომ თუ-კი მარჯვედ იქნებით და თქვენს მოვალეობას სინიდისიერად მოეკიდებით, ყველაფერს გაიგებთ და აღმოაჩენთ. არა თუ თანამდებობის კაცნი, ყოველივე შეგნებული და პატიოსანი კაცი მოვალეა ებრძოლოს, რითაც-კი შეუძლიან, ქურდობასა და ავ-ზნეობას, რომელიც არის დიდი დამაზარალებელი ერის ყოფა-ცხოვრებისა და გამრყვნელი და დამამდაბლებელი ადამიანის ზნეობისა და კეთილის თვისებისა. მით უმეტეს უნდა იყოთ მარჯვედ ამ საქმეში, რომ არც ერთს თქვენგანს არ შეგემჩნიოთ სუსტობა და დაუდევნელობა, თორემ თანამდებობიდამ დათხოვნასთან მიეცემით აგრეთვე დიდს პასუხის გებაში. აგრეთვე იქონიეთ ყურადღება, თუ რაიმე მოულოდნელი შემთხვევა მოხდეს თქვენს საზოგადოებაში, ისეთი, რომელიც უმაღლესის მთავრობის ყურადღების მისაღწევია, უთუოდ ოთხმეტის საათის განმავლობაში მოახსენებდეთ ბოქაულს, რადგანაც კანონით ამ უკანასკნელმა ოც და ოთხის საათის განმავლობაში უნდა აცნობოს მომხდარი საქმის გარემოება სასამართლოს გამომძიებელს. სოფლის მსაჯულებმა უნდა იქონიონ კრება კვირაში ორჯელ, პარასკეობით და კვირაობით წირვის შემდეგ. ყოველივე მათი განაჩენი უნდა ჩაიწეროს მაშინვე დავთრებში. უნდა ეცადოთ ყოვლის ღონით, რაც შეიძლება სწორედ და მიუფერებლად სამართლის გაჩენას. გარდა ამისა, მივაქცევ თქვენს ყურადღებას შემდეგს საგანსაც: იმ გარემოების წყალობით, რომ უმეტესი ნაწილი ახალგაზდობისა განუყრელად ატარებს იარაღსა, დღეობა-ქორწილში თუ ნათლობაში ხშირად ხდება მძიმე უბედურება: კაცის კვლა, ჩხუბი და ამ გვარი მავნებელი ავ-კაცობა. ეცადეთ შეაგონოთ ყველას, რომ იმ დროს მაინც, როცა კაცი პურის ჭამად ჯდება და ლხინს ეწევა, იარაღი აიყაროს, რადგანაც მრავალი მაგალითია, რომ ღვინით თავბრუ-დასხმული კაცი ხშირად ჰკლავს ანუ სჩეხს ისეთს კაცს, რომელთანაც არავითარი მტრობა არა აქვს და პირ-იქით გულით მეგობარი და საყვარელია. ეცადეთ მოაშლევინოთ ხალხს სმა-ჭამისა და ქეიფის დროს იარაღის ტარება, რომ მოსალოდნელი უბედურება თავითამ აცილებული იქმნას.

აი ჩამოგითვალეთ ყოველი თქვენი მოვალეობანი, რაცა გაქვთ ნატვირთი კანონითა და სინიდისით, და ახლა თქვენ იცით, ახლა თქვენზედ არის დამოკიდებული, როგორ უნაკლულოდ შეასრულებთ ნაკისრს მოვალეობასაო...

გარდა ზემო აღნიშნულისა, ბევრი საყურადღებო და გამოსადეგი დარიგებანი მისცა ბ-ნმა მაზრის უფროსმა არჩეულ მოხელეთ, მაგრამ ჩვენი წერილი უამისოდაც ვგონებ მეტად გაჭიანურდა და მის გამო ვათავებთ. საღამოს ოთხ საათზედ გათავდა ყველა ის საქმეები, რომელიც 19 ამ თთვისათვის ჰქონდა დანიშნული ბატონს მაზრის უფროსს. მამაშვილურის პატივისცემით გამოემშვიდობა შეკრებილს ხალხს და გაისტუმრა ყველა თავ-თავისს სამამასახლისოში.

ქაიხოსრო გელოვანი

---

ქ. ყარსი, 24 ნოემბერი. ყოველისფერს წარმოვიდგენდი და იმას კი არა, თუ ყარსში, სადაც ქართველთა რიცხვი ასე მცირედია, ქართული წარმოდგენა გაიმართებოდა და მერე ისიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. მაგრამ დახეთ მაინც ამ ორ კაკალ ქართველის თავ-ხედობას. მიუხედავად ყოველისავე დაბრკოლებისა, არ დაიშალეს ერთხელ ამოჩემებული საქმე, მაინც მოიკლეს თავისი სურვილი 20 ამ თთვეს წარმოდგენის გამართვით. ამ აღრინდელ თათრების სამეფოში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ყოველ გვარი წარმოდგენები იმართებოდა. ქართულისა-კი ყარსის დაწყების აქეთ ხსენებაც არა ყოფილა და რა საწყენ-საბოდიშო იყო, ან უნდა ყოფილიყო ვისთვისმე, არ ვიცით, ღმერთმანი!

თუმცა ბევრი გაიძახოდა: აბა ვინ მოვა ქართულს წარმოდგენაზედ; უსათუოდ თავზედ სცენის მოყვარეთ თავადვე დასჭირდებათ ხარჯის გადახდაო, მაგრამ, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, 20-ს ამ თთვეს წარმოვადგინეთ აქ ცაგარლის ფარსი-კომედია. „ბაიყუში“ და პირველი მოქმედება „ხანუმა“-სი. თვით წარმოდგენაზედ მე ვერაფერს ვერ ვიტყვი და არც ნება მაქვს ვსთქვა, როგორც მოთამაშეს, მაგრამ არც ისეთი სულგრძელი ვარ რეცენზიის*) დამწერს მოვუცადო და დავფარო ის აღტაცება, რომელიც განურჩევლად წოდებისა, ტომისა და სქესისა მაყურებელთ სახეზედ ეტყობოდათ. იმათ „ვაშა“ «ვაშას» ძახილს, «ბრავოსა» და „ბისს“ დასასრული არა ჰქონდა.

შემდეგ წარმოდგენისა ყველასაგან შემდეგი სიტყვები გვესმოდა: «ათი-თორმეტი წელიწადია ყარსში ვარ და ამისთანა სიამოვნება ჯერ არ მინახავსო! ხშირად გამართეთ, თუ კაცები ხართო».

გულითადს მადლობას ვუძღვნით იმათ, ვინც ზოგიერთების გამოჯავრებით ამ საქმის დასაბოლოვებლად დიდი შრომა მიიღეს. მადლობის ღირსნი არიან: ქ-ნი მ. ლ. კიკნაძისა, რომელმაც ისე ნიჭიერად ითამაშა თალიკოს როლი „ბაიყუშში“ და ხანუმას, „ხანუმაში“, რომ ღმერთს ესთხოვე მაგ გვარის ნიჭის პატრონი; არამც თუ ყარსს და სხვა დაბა-ქალაქებს დედა-ქალაქის მუდმივ სცენასაც ბევრი ჰყოლოდეს, ნ. მ. გიჟიმურელისა; ო. ვ. ქავთარაძისა ბ-ნნი ი. ბაქრაძე, მ. ბეჟანიშვილი, თ. ზ. ჯანდიერი, ზ. მამულოვი, მ. მუსულიანი, ს. გიჟიმურელი და ნ. გრიგოლაშვილი.

ქართულ წარმოდგენასთან ერთად გამართული იყო ერთ-მოქმედებიანი რუსული ფარსი-ვოდევილი „ნასკვზედ, ან მესამე სართულიდამ გადმოხტომა“ (На узелки, или прижокъ съ третьяго этажа, соч. Подвиснева).

უფრო დიდი მადლობა ეკუთვნის იმ უცხო პირთ, რომელთაც თავისის დახმარებით დიდი შემწეობა აღმოგვიჩინეს: ქ-ნი ა. ეკ. ნიკიტინისას, ა. ლ. სკურატოვისას; ბ-ნს ვ. ო. აბამელიქოვს, პ. ევ. ასტახოვს და ვ. ნ. კარანოვსკის.

წარმოდგენის შემოსავალ-გასავალი:

| შემოსავალი | მ. | კ. |
|---|---|---|
| ბილეთებისა . . . . | 110 | 50 |
| ბუფეტისა . . . . . . | 202 | 20 |
| სულ | 312— | 70 |
| აქედამ დაიხარჯა: | მ. | კ. |
| ბუფეტი . . . . . . . | 73 | „ |
| სახლის ქირა . . . . | 25 | „ |
| მემუსიკენი და მეზურნეები | 27 | „ |
| პარიკმახერს . . . . . | 5 | „ |
| აფიშა და ბილეთ. დასაბეჭ. | 10 | „ |
| მოსამსახურეებს, მუშებს, ფაიტონს და სხვა რამ . | 13 | 60 |
| სახლის განათება და ტანისამოსის ქირა . . . . | 7 | 20 |
| ფულის გასაგზავნი. . . | 1 | 90 |
| სულ | 169— | 70 |

დარჩა წმინდა შემოსავალი 150 მანეთი, რომელიც გავგზავნე „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მდივანს, რათა ნახევარი ე. ი. 75 მანათი ზემოხსენებულ «საზოგადოებას» გარდასცეს და ნახევარი მომავალ ქართველ დედათა სასწავლებლის დამაარსებელს კომიტეტს, წარმომადგენელთა სურვილისამებრ.

ივ. ქავ—ძე

*) ჩვენს გაზეთში ახალ ამბავთა შორის უკვე იყო დაბეჭდილი მცირე რეცენზია ყარსში გამართულის ქართულის წარმოდგენისა. რეცენზენტიც ქებით იხსენიებდა წარმოდგენასა და მოყვარულთა თამაშობასაც. რედ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

დიდი ხანია, რაც კავკასიისა და რუსეთის გაზეთებს ლაპარაკი და ბაასი აქვთ ატეხილი, რომ შავის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზედ ვინ და რა ხალხი დავასახლოთო. გაზეთ „Кавказъ“-სა და იმის ამყოლს მოსკოვის მჩევრმეტყველთ აქამდე სულ ისა ჰქონდათ აჩემებული, რომ „თავისუფალი ყაზახობა“ უნდა ჩავათესლოთ ამ ადგილასაო. აი, როგორც გაზ. „Кавказъ“-შივე ვკითხულობთ, თავისს მოგზაურობის შემდეგ ამის შესახებ რა აზრს დასდგომია ამიერ-კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. დონდუკოვ-კორსაკოვი:

> წარსულის მწარე გამოცდილებით აშკარად და ნათლად გამოირკვა, რომ ტოპოგრაფიულ პირობათა გამო შავის ზღვის სანაპიროების მარტო მიწის შემმუშავებელით დასახლება არ გარგა. კიდევ ამიტომ სწორედ შეუნდობელი შეცდომა იქნება, რომ რუსეთიდგან გადმოვიყვანოთ მიწის-მომქმედნი და ისინი დავასახლოთ. ასეთი საქციელი საზიანო იქნება როგორც სახელმწიფო ინტერესებისათვის, ისე თვით გადმოხიზნულთათვის.
>
> ...უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ შესაფერი ელემენტი ამოვურჩიოთ. უცხო ხალხით არ უნდა დავასახლოთ, მაგალითებრ მცირე აზიის ბერძნებით, ესტებით, გერმანელებით და ჩეხებით, რადგან ისინი სულ არ გარგანან ამ ადგილებში დასახიზნებლად.
>
> რუსთაგან ყველაზედ შესაფერი უფრო ის იქნებოდა, რომ შავისა და აზოვის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებიდგან გადმოსახლებულიყვნენ იქაური მკვიდრნი, რადგან ისინი მიჩვეულნი არიან ღვინის წარმოებასაცა და მეთევზობასაც. ყაზახებისა იმედი არ უნდა გვქონდეს, რადგან თავის საბინადრო ადგილებში ისინი კარგად სცხოვრობენ და სახლ-კარიანობის მოყვარე ყაზახს უზრუნველ ყოფილს აწმყოს სამგონიარო მერმისზედ ვერ შევაცვლევინებთ.
>
> კიდევ არის დასახიზნელი ელემენტი ჩვენის იმპერიის საზღვარ გარეშე, რომელიც ძალიან გამოსადეგია შავის ზღვის აღმოსავლეთის სანაპიროების დასასახლებლად. ეს ელემენტი დობრუჯელები არიან. დობრუჯელები რუსის მწვალებელნი არიან და მეტად ზნეობიანი, ფხიზელი და შრომის მოყვარე ხალხია. ისინი, მიწათ-მოქმედების გარდა, ღვინის მოყვანასა და მეთევზობასაც მისდევენ, მიჩვეულნი არიან მავნებელს, ციებიანს ჰავას და ამიტომ უფრო ნაკლებად მავნებელს ჰავას შავის ზღვის სანაპიროებისას ადვილად აიტანენ.

გუშინდელს ნომერში „Новое Обозрѣніе“, მოჰყავს რა ეს ადგილი მთავარ-მართებლის მიერ გამოთქმულ აზრისა, დასძენს, რომ

> ბესარაბიის მოსახლეთა და დობრუჯელებს გარდა, რომელნიც მართლაც გამოდგებიან შავის ზღვის სანაპიროების დასასახლებლად, იქვე უნდა დაიბინაონ ქუთაისის გუბერნიის დაბლობ ადგილების მცხოვრებნი, რომელნიც დღითი-დღე ვიწროობასა ჰგრძნობენ სამშობლოში. უკვე ცნობილია, რომ ამ უკანასკნელს წლებს აფხაზეთში დაეხიზნა რამდენიმე მეგრელთა სახლობა. მეგრელნი, როგორც გამოცდილებითა სჩანს, მშვენიერად იტანენ შავის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების ჰავას და ამიტომ ისინიც მხედველობაში უნდა იყოლიონ, როცა ამ ადგილების დასახლების საქმეს გადასწყვეტენ. ამით იმის გარდა, რომ დამთავრდება და დასრულდება საქმე შავის ზღვის სანაპიროების დასახლებისა, ქუთაისის გუბერნიის მდგომარეობაც შემსუბუქდება, რადგან ეს გუბერნია მეტად მჭიდროდ არის დასახლებული და მიწების სიმცირითაც დიდად გაჭირვებულია.

თუ მართლა ისე მოხერხდება, რომ ქუთაისის გუბერნიას საქმე შეუმსუბუქდება და იქ მოჭარბებულს ხალხსა და მეგრელებს დაასახლებენ შავის ზღვის სანაპიროებზედ, უკვე შეჩვეულთ აფხაზეთის მკაცრს ჰავას, ამაზედ უკეთესი რაღა უნდა იყოს. მაშინ ბესარაბიელებისა და დობრუჯელების თავის ბინიდგან აყრა რაღა საჭირო იქნება?!

## უცხოეთი

ბელგია. გაზეთებში საოცარი ამბავია მოთხრობილი ბელგიის სამინისტროს შესახებ. ეს სამინისტრო სულ კლერიკალებისაგან არის შემდგარი. ქვეყანას არ უნდა ასეთი სამინისტრო და, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება კიდეც. სამინისტროს უფიქრია, მოდი დავამტკიცებ, რომ საჭირო ვარ ქვეყნისათვისაო, და ამიტომ განგებ მოუხდენია მუშების უწესოება და არეულობა 1886 წელს. იმ არეულობამ თავის დროზე დიდად აალაპარაკა გაზეთები, მაგრამ ვინ მიხვდებოდამ მაშინ, როგორ ყოფილა საქმე. ახლა გამოჩნდა, რომ ის უწესოება თვით სამინისტროს მოემზადებინა და გამოეწვია. მოხდება უწესოება, ჩვენ დავამშვიდებთ და მით დავამტკიცებთ, რომ მხსნელნი ვართ ჩვენის ქვეყნისა და, მაშასადამე, საჭი-

რონიცაო. მთავრობამ იშოვა ამ საქმისათვის საჭირო აგენტები, სხვათა შორის, ვილაც პურბე, და იმათის შემწეობით, შეადგინა პროკლამაციები, წერილები და იწვევდა მუშათა სახელით ყველას მოეხდინა უწესოება და არეულობა. მერე როცა მართლა დაიწყო საშინელი არეულობა, წვა სახლებისა და ქონებისა, მტრევა მაღაზიებისა, სამინისტრომ გამოიყვანა ჯარები და დაუწყო ხოცვა და ქლეტა მეამბოხეებს. დიდ-ძალი სისხლი დაიღვარა მაშინ, დიდ-ძალი ქონება გაოხრდა, ბევრი გამოესალმა წუთი-სოფელს. აი ეს ამბავი გამოაშკარავდა ეხლა ლიბერალის ბარეს წყალობით, რომელმაც მოსთხოვა პარლამენტში ანგარიში და პასუხი მაშინდელის ამბებისა მთავარ-მინისტრს ბერნერტსა. ხალხი ამ გამოაშკარების გამო ისე აღელდა, რომ დაუწყო მუქარა მინისტრებს, დაულეწა ფანჯრები და აღშფოთებული ძლივს იმაგრებს თავს. მინისტრებს ყარაულები უდგანან ბრიუსელში და დიდ-ძალი ჯარები საომარ ფეხზე არიან, რომ დაამშვიდონ კვლავ, თუ რამ დიდი არეულობა დაიწყება. ჯერ არა არის-რა გაზეთებში, რით გათავდა, ან რით უნდა გათავდეს ეს საოცარი ამბავი თვით მთავრობის მიერ რევოლიუციის მოხდენისა იმ განზრახვითა და ვარაუდით, რომ ამტყდარს რევოლიუციას დავამშვიდებთ ჯარებით და ჯილდოსა და საჩუქრებს მივიღებთ, მინისტრებად ისევ ჩვენ დავრჩებითო.

საფრანგეთი. პარიჟის სტუდენტობამ მიიწვია სენის დეპარტამენტის რესპუბლიკელი დეპუტატები და გაუმასპინძლდა. საღამოს ცხრა საათზედ ერთს დიდს დარბაზში შეკრბა 900-მდე სტუდენტობა. მოვიდა ფლოკე თავის ამხანაგებითა და სტუდენტობა ტაშის ცემით მიეგება დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს: გაუმარჯოს რესპუბლიკას, გაუმარჯოს ფლოკესაო! მერე სხვა რესპუბლიკელმა დეპუტატებმა დაიჭირეს თავისი ამაღლებული ადგილი. სტუდენტობის კომიტეტის თავმჯდომარე პერრო, იმ კომიტეტისა, რომელიც ბულანჟეს საწინააღმდეგოდ იყო დაარსებული, წამოდგა და სთქვა: ვმადლობთ რესპუბლიკელს დეპუტატებს, რომ გვიკადრეს სტუდენტები და გვეწვიენენ დღესაო. შემდეგ პერრომ სთქვა, რა ღვაწლი დასდო ქვეყანას სტუდენტობამ არჩევანებზე, როგორ ებრძოდა ბულანჟეობას, და ბოლოს ასე გაათავა თავისი ლაპარაკი: „ბულანჟეობა დაიმარხა. გაუმარჯოს რესპუბლიკასაო!“

შემდეგ ილაპარაკა ემილ ფერრიმ. მადლობა გადაუხადა ახალგაზდობას ვაჟკაცურის ბრძოლისათვის არჩევანების დროს იმათ წინააღმდეგ, ვისაც უნდოდა თავისუფლება წაერთმია ერისათვისაო. შემდეგ ემილ ფერრიმ თავის თავზედ დაიწყო ლაპარაკი. მე უბრალო ქარხნის პატრონი ვარ, ოცი წელიწადი მერად ვიყავი და ახლა დეპუტატად ამირჩიეს ჩემმა თანამემამულეებმაო. ჩემდა უნებურად ბევრ გვარი პატივი მხვდა წილადო. რაიცა შეეხება მუშათა და შრომის საქმეს, ჯერ არ ვიცი, როგორ უნდა გადაწყდეს ეს საქმე, მაგრამ, მე მგონია, რომ ყოველს ჩვენგანს შეუძლიან [illegible]. დასასრულ სთხოვა სტუდენტობას: განათლებულნი [illegible] და [illegible] წინდა-

უმეცართა. ამით დიდს ამაგს დასდებთ საფრანგეთსა და ფრანგებსაო.

შემდეგ წაიკითხეს ბოდიშის წერილები იმათი, რომელნიც ვერ დაესწრნენ სტუდენტების დღესასწაულზედ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და მერე კვლავ დაიწყო თქმა სიტყვებისა. ჟაკმა მოიგონა დამარცხება თავისი 27 ნოემბერს პარიჟის არჩევანებზე და სთქვა, რომ ის დამარცხება უფრო სასიამოვნო იყო იმ კაცის გამარჯვებაზედ, რომლის სახელიც-კი არ მინდა წარმოვსთქვაო.

შემდეგ ილაპარაკა ფრედერიკოს პასიმ. მან სთქვა სხვათა შორის, რომ გამოფენაზე ყველა ერთა დროშანი თავს იხრიდნენ იმ კაცის წინაშე, რომელიც არის უმაღლესი წარმომადგენელი პატიოსნებისაო, სახელდობრ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ კარნოს წინაშეო. დიდებული სანახავი იყო მაშინ, საჩუქრების დარიგების დროს, ჩვენი მსოფლიო გამოფენაც. შემდეგ კლემანსომ ილაპარაკა და ბოლოს ფლოკემ უთხრა სტუდენტობას: იყავით მხნენი, მუდამ ახალგაზდანი გულით, მხიარულნი, და ნუ დაჰკარგავთ იმედს. რესპუბლიკა მტკიცედა სდგას. დიდის ნდოიბით გაძლევთ ამ რესპუბლიკას და იმედია ჯეროვანს პატივს მიაპყრობთო.

---

# დეპეშა

1 დეკემბერი

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétersbourg“-ი ლაპარაკობს, რომ ბოლგარიის სესხი ვენის ბირჟაზედ ნაღდდებაო. ლაპარაკობს აგრეთვე ამ სესხის გირაოს შესახებაც და ბოლოს ამბობს: აქედგან სჩანს, რა დარდიმანდობით ჰხმარობენ პრინცი კობურგისა და ბოლგარიის მმართველნი სამთავროს ქონებას, თუმცა იმათი ყოფა ისე მეტად უხერხულია ბოლგარიაში, და რა ხელ-გაშლილობით აგირავებენ ქვეყნის საფინანსო წყაროებსაო, თუმცა ამის უფლება სრულიად არა აქვთო, და არც უნდათ მიიღონ მხედველობაში ის წინანდელი ვალდებულებანი, რომელიც აგერ რამდენი ხანია გადაუწყვეტელი რჩება. საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ ასეთი მეტად ცხადი და აშკარა დარღვევა ბერლინის ტრაქტატისაო.

გუშინ გარდაიცვალა პრეზიდენტი სამეცნიერო აკადემიისა ბუნიაკოვსკი.

რუბინშტეინმა გამოაცხადა, რომ მთლად ის ფული, რაც შეიკრიბა თანხად ჩემის სახელით გადამიდვია პეტერბურგის კონსერვატორიისა და პეტერბურგისავე საიმპერატორო რუსეთის სამუსიკო საზოგადოების განყოფილების შენობის ასაგებადაო.

„С.-Петерб. Вѣд.“-ის გაუგონია, რომ შეუმუშავებიათ ახალი წესდება სასოფლო ბანკებისა. მოქმედება ბანკისა უნდა ექვემდებარებოდეს სასტიკს ზედამხედველობას. ძირის თანხა სამი ათას მანათზედ ნაკლები არ უნდა იყოს. უმცირესი ვადა სესხისა ექვსი თვეა, უხანგრძლივესი—სამი წელიწადი. ნება-რთვა ბანკის გახსნისა მოცემულ იქმნება მხოლოდ მაშინ, თუ გუბერნატორი დაამოწმებს, რომ მართლა საჭიროა ბანკის გახსნაო.

2 დეკემბერი

პეტერბურგი. ნება-დართულ იქმნა გაიგზავნოს ხოლმე ფოსტით უბრალო წერილები ფულ-გადაუხდელად, მხოლოდ წერილის მიმღებს ერთიორად გამოერთმევა ფასი. ამისთანა წერილები არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებას.

გაზეთებში მოხსენებული ამბავი, რომ დეკემბერში სახელმწიფო საბჭო განიხილავს საქმეს საერო სკოლების გადაცემისას სასულიერო უწყების ხელშიო, ოფიციალურად უარ-ყოფილ იქმნა.

„Нов. Время“ იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოს წარედგინება პროექტი საგუბერნიო საპატიმროს განყოფილების დაწესებისაო. ეს განყოფილება საგუბერნიო მმართველობასთან იქმნება, მაგრამ სრულიად დამოუკიდებლად შეეძლება გამგეობა საპატიმროს საქმეებისა გუბერნატორისა, ან ვიცე-გუბერნატორის თავს მჯდომარეობითაო. განყოფილებაში იქმნება: საპატიმროს ინსპექტორი, მისი თანაშემწე და კანცელიარია.

მიტავა. გუშინ გუბერნატორს დიდი სადილი ჰქონდა გამართული. სადილად იყვნენ მიწვეულნი: იუსტიციის მინისტრი, წარმომადგენელნი ძველისა და ახალის სასამართლოსანი და ყველა უწყებისანი. საღამოზე ციხე-დარბაზისაკენ გაემართა ლატიშთა კრებული, რომელსაც ხელში ანთებული მაშხალები ეჭირა და რომელსაც წინ მიუძღოდნენ ლატიშების მგალობელთა გუნდები და მემუსიკენი. დარბაზში შევიდა ლატიშების დეპუტაცია და სთხოვა იუსტიციის მინისტრს, დაუფინეთ უმდაბლესად სამეფო ტახტისა წინაშე უზომო გრძნობა ჩვენის ერთგულებისა სამშობლოსა მამისა მიმართ და ჩვენი მასულდგმულებელი გრძნობა მუდმივის მზად ყოფნისა გაწირვად სიცოცხლისა და ქონებისა ჩვენისა საყვარელისა მეფისათვის. ლატიშების შეერთებულმა მგალობელთა გუნდებმა სთქვეს: „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“. მაშხალებ ანთებულმა კრებულმა საერო საგალობლის ხმლერით გაიარა ოლქის სასამართლოს სადგომის წინ.

ბერლინი. რეიხსტაგის კრებანი გადადებულ იქმნა 8 იანვრამდე.

ვენა. გერმანელების ოპოზიციის მოთავემ პლენერმა გუშინ დიდის გაცხარებით ილაპარაკა ტააფეს წინააღმდეგ იმის გამო, რომ ვითომ ტააფე ნებას აძლევს ჩეხელებს ძალმომრეობით ექცეოდნენ ჩეხიის გერმანელებსაო. პლენერმა სთქვა, რომ დღევანდელს შინა პოლიტიკას ავსტრიისას მთელი ევროპა ან მწუხარებით იხსენიებს ან ნიშნის მოგებითაო. დღეს ტააფემ ცხარე პასუხი მისცა პლენერს და უარ-ჰყო მისი ლაპარაკი.

პეტერბურგის ბირჟა, 1 დეკემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 48 |
| ტამოჟნის კუპონები . . | 149 1/4 | — „ | — „ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 253 3/4 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 257,55 |
| გირავნობის ფურცლები [illegible] ბანკისა | 96 1/4 | — | — |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | 97 1/4 | — |
| [illegible] ბანკის სახ-გირავნობის [illegible] | — | 84 1/4 | — |

ვამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3 1/2 | |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 | „ |
| „ „ 2 „ | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3 1/2 | |
| ჯვარის მამის პურის ღავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | “ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ | “ |
| „ 2 „ „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ-ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ვალ. გუნიას მიერ შედგენილი

## სახალხო კალენდარი

1890 წ.

ფასი ორი შაური

---

ვინც ერთბაშად იყიდის ას წიგნს, იმას მანეთზე ხუთი შაური დაუთმობა, ანუ ერთ თუმნად შეუძლიან მიიღოს 13 მ. წიგნი. ვინც იყიდის 300 ცალს, იმას მანეთზე ექვსი შაური დაუთმობა, ანუ სამ თუმნად შეუძლიან მიიღოს ოთხის თუმნის წიგნი.

წიგნის მაღაზიებს დაუთმობა ჩვეულებრივი პროცენტი. ვისაც სურს კალენდრის გამოწერა, შეუძლიან ნახევარი ფასი ამ თავითვე გამოგზავნოს და ნახევარი მიღებისათნავე გადაიხადოს (съ наложеннымъ платежомъ).

მიმართონ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ტფილისში.

ამ დღეებში გამოვა „საქართველოს კალენდარი“ 1890 წ. და უბის წიგნი 1899 წლისათვის.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ბამბა და მისი შემუშავება მ. ჯ—ლი. . . . | „ | 15 |
| დახასიათებანი თქმულნი თეოფრასტეს მიერ გადმოღებული ინ—კანისაგან . . . . . | „ | 20 |
| ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |
| პიროტყვების ამბები, საყმაწვილო წიგნი სურათებით . . . . | „ | 25 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . | „ | 15 |
| ვოლტერი ზ. ჭიჭინაძისა | „ | 15 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ცდა, კრებული გამოცემული ალ. გარსევანიშვილისა . . . . . | „ | 50 |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა. . . . | „ | 40 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომოურისა. . . | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . | „ | 50 |
| ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| ჰკატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . | „ | 0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 0 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . . | „ | 10 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოთარგმნილი ან. თუმანიშვილის მიერ . . . | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . | „ | 45 |
| თორნიკე ერისთავი აკაკისა . . | 1 | „ |
| [illegible] ამბავი . . . | „ | 40 |

Доз. ценз. Тифлисъ 2-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.